პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8

ქ.თბილისი

24.12.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
საბა სარიშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები – საერთაშორისოს“ დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე;
ლიანა ზამბახიძე – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს მდივანი;
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ – საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს – „საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია – სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბექერი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ნანა ჯიქია - შპს დავით აღმაშენებლის აკადემიის წარმომადგენელი;
ზვიად არძენაძე - შპს დავით აღმაშენებლის აკადემიის წარმომადგენელი;
ირმა ჯაფარიძე - სსიპ-პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდის“ წარმომადგენელი;
ლალი ალფაიძე - ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის წარმომადგენელი;
რეზო შარაბიძე - ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის წარმომადგენელი;
მაია პატარიძე - ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის წარმომადგენელი.

სხვა დამსწრე პირები:

დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):

თეა შაყულაშვილი;
თამარ რემიშვილი;
მადონა გოგობერიშვილი;
შორენა ჯაფარიძე;
ქეთევან ჯანელიძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საბჭოს წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საბა სარიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:05 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა; ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა შაყულაშვილმა. მისი თქმით, მონიტორინგის განხორციელების საფუძველი გახდა ცენტრში შემოსული დაწესებულების კორესპონდენცია მისამართის ცვლილებასთან დაკავშირებით, ასევე 2015 წლის 1 და 2 ოქტომბრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას ერთ მისამართზე უფიქსირდებოდა 387.11 კვ.მ ფართი; დაწესებულებას არ ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის; ფარმაცევტის თანაშემწის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულებას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით.

ცენტრის დირექტორის 2015 წლის 30 ნოემბრის № 951 ბრძანებით მონიტორინგის ჯგუფს დაევალა დაწესებულების მატერიალური რესურსის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. აღნიშნული ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ ხელახალი აზომვის საფუძველზე გასწორდა და დაზუსტდა საერთო ფართის მოცულობა საჯარო რეესტრში, რომლის თანახმადაც დაწესებულება ერთ მისამართზე ფლობს 433.71 კვ.მ ფართს; ამავე ვიზიტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის მიხედვით სსსმ პირებისათვის კიბეზე დამონტაჟებული იყო პანდუსი და მოწყობილი იყო ადაპტირებული სველი წერტილი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ფარმაცევტის თანაშემწის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულებას იღებდა, მილევად რეჟიმში უზრუნველეყო პროგრამის დასრულება. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად,

2. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა თეა შაყულაშვილმა და მადონა გოგობერიშვილმა. ჯგუფის თავმჯდომარის თქმით დაწესებულებას სურდა ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების დამატება. ექსპერტმა წარმოადგინა დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული იყო პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილი იყო პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, ჰქონდა თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). ექსპერტთა თქმით, ვიზიტის დროს ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტების რა რაოდენობას ითხოვდა დაწესებულება. დაწესებულების განცხადებით ავტორიზაციის დროს მათ განესაზღვრათ 250 პროფესიული სტუდენტი და იმავე რაოდენობის ფარგლებში, ორ ცვლაში სურდათ პროგრამების სტუდენტებით დაკომპლექტება.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რამდენი იყო დღიური დატვირთვა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დღიური დატვირთვა 3-4 საათს შეადგენდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისათვის ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის ქართულენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისათვის ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს დავით აღმაშენებლის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 406069169) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური
1	ფარმაცევტის თანაშემწე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	121	V
2	ფარმაცევტის თანაშემწე (ინგლისურენოვანი)	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	121	V

3. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ჯაფარიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამულ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები არ ჰქონია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები წესრიგში იყო და პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვაში, პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლების საკითხიც უზრუნველყოფილი იყო.

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების შენობის განაშენიანების ფართი 156 კვ.მ შეადგენდა. მიწის ნაკვეთზე გაშენებული იყო სათბურიც, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებს ემსახურებოდა. დაწესებულება უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი რაოდენობის მერხებით, სკამებით, დაფებით და გააჩნდა 8 პერსონალური კომპიუტერი. დაწესებულება პროგრამაზე 16 პროფესიული სტუდენტის მიღებას აპირებდა.

შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა სავალდებულო რესურსით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთ სილაბუსში მითითებული სახელმძღვანელო (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) არ აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში, თუმცა დაწესებულებას გააჩნდა სახელმძღვანელოს ახალი გამოცემა, რომელსაც პროგრამის განხორციელებისას გამოიყენებდნენ. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გაზაფხულიდან აპირებდა.

ექსპერტის განმარტებით, ერთადერთი შენიშვნა დაწესებულების გარემოს ადაპტირებას ეხებოდა, კერძოდ, სველ წერტილებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის არ იყო ადაპტირებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ ხარვეზი გამოსწორებული იყო. ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებამ დირექტორის ბრძანება წარმოუდგინა, რომელიც შესაბამის ჯგუფს სველი წერტილების ადაპტირებას ავალებდა, თუმცა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს შეცვლილი გარემო არ უნახავთ. საბჭოს მდივანმა, ლიანა ზამბახიძემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, ადაპტირებული სველი წერტილების ფოტოები წარმოედგინა, როგორც დამადასტურებელი მასალა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამა სამომავლოდ მოდულური პროგრამის განხორციელებისთვის კარგ ბაზისს წარმოადგენდა.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის იყო თუ არა საკმარისი 3 პედაგოგი, რაზეც ექსპერტისგან დადებითი პასუხი მიიღო.

საბა სარიშვილი, მებოსტნეობის პედაგოგის გამოცდილებით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პედაგოგი სოფლის მეურნეობის ცენტრში მუშაობდა, მანამდე აგრარულ უნივერსიტეტშიც იყო დასაქმებული და ხახვის და ნივრის ჯიშები ჰქონდა გამოყვანილი. პედაგოგი იცნობდა თანამედროვე ტექნოლოგიებს და სტუდენტებთან, სათბურში, სწორედ აღნიშნული პედაგოგი იმუშავებდა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განცხადებით, პროგრამა უსასყიდლოდ განხორციელდებოდა. მისივე თქმით, დაწესებულებას შენობა საპატრიარქომ გადასცა და პროექტიც საპატრიარქოს მიერ ფინანსდებოდა. პროექტი დასასრულისთვის ერთ-ერთ მიზნად ავტორიზაციის გავლას ისახავდა.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ პროგრამის უფასოდ განხორციელების ინიციატივა მისთვის მისასალმებელი იყო, თუმცა აინტერესებდა, 15 კრედიტი პროფესიის დასაუფლებლად რამდენად იყო საკმარისი და როგორ იყო კრედიტები გადანაწილებული. ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ პროგრამა შეესაბამებოდა არსებულ სტანდარტებს. მამია ჯანჯალიამ დამატებით აღნიშნა, რომ სტანდარტთან შესაბამისობის მიუხედავად, საინტერესო იყო, რამდენად დააკმაყოფილებდა პროგრამა ბაზრის მოთხოვნებს. დაწესებულების წარომადგენლის განმარტებით, 15 კრედიტი პირველ საფეხურს მოიცავდა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს სამომავლოდ დამოუკიდებელი საქმიანობისთვის ამზადებდა. საპატრიარქოს წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ერთწლიანი პროექტის დასრულების შემდეგ, იყო მოლოდინი, რომ კურსდამთავრებულები დამოუკიდებლად შეძლებდნენ საქმიანობას. პროექტის დასრულების შემდეგ, რამდენიმე პირმა მართლაც შეძლო საკმაოდ დიდი მოსავლის მოყვანა და გაყიდვა. ამ წარმატების გამო გადაწყვიტა სწორედ საპატრიარქომ, რომ დაწესებულებას გაევლო ავტორიზაცია და ავტორიზებულ რეჟიმში განეხორციელებინა პროფესიული პროგრამა.

მამია ჯანჯალიამ დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ 15 კრედიტს მალევე ამოწურავდნენ და მეორე წლის დასაწყისიდან მალევე შეძლებდნენ ახალი კონტინგენტის მიღებას. ამის გამო, მას აინტერესებდა, როგორ შეძლებდა 3 პედაგოგი ორი ჯგუფისთვის პარალელურად სწავლებას. დაწესებულების დირექტორმა პასუხად განაცხადა, რომ დატვირთვა სათანადოდ იყო გადანაწილებული. საპატრიარქოს წარმომადგენლის თქმით კი, ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, პროგრამაზე ახალ ჯგუფს არ მიიღებდნენ. ამჯერად პროგრამა 8 სტუდენტზე და ორ ცვლაზე იყო გათვლილი, თუმცა ფინანსების არარსებობის შემთხვევაში, დაწესებულება მეორე ცვლაზეც უარს იტყოდა. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ კრედიტები დროში შესაბამისად იყო გადანაწილებული - ვინაიდან დაწესებულება მებოსტნეობის პროგრამის განხორციელებას აპირებდა, იგი შესაბამის სეზონებს უნდა დალოდებოდა და სწავლებაც გარკვეული პერიოდულობით განეხორციელებინა.

საბჭოს წევრი, ელგუჯა მელაძე დაწესებულებაში სურსათის უვნებლობის საკითხით დაინტერესდა, ვინაიდან, მისი თქმით, პროდუქტი მომხმარებელზე გადიოდა და მისი წარმოებისთვის განკუთვნილი გარემოსა და წარმოების რესურსის ხარისხი მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან დიდ რისკებს შეიცავდა. საბჭოს წევრის განმარტებით, როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ყველა შეთანხმება და რეგლამენტი ძალაში იყო, რის შესახებაც განხილული პროფესიული პროგრამის პედაგოგებიც უნდა ყოფილიყვნენ ინფორმირებულები და დაწესებულებას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა შესაბამის ლაბორატორიებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით საპატრიარქოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა პროდუქტის წარმოებას და გაყიდვას არ ითვალისწინებდა, შესაბამისად, მომხმარებლის რისკებზე საუბარიც გადაჭარბებული იქნებოდა. მიუხედავად ამისა, სათბური ყველანაირ სტანდარტს აკმაყოფილებდა, რაშიც დაწესებულებას შვეიცარიულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობამ შეუწყო ხელი.

16:45 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 17:19 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლება, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 16-ით. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ დაწესებულებაში ვიზიტზე მყოფი ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 16-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა: ელგუჯა მელაძემ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 16-ით.

4. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თეა შაყულაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა და დოკუმენტაცია შეესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს. თეა შაყულაშვილის განცხადებით, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი იქნა უფლებამოსილი ორგანოს (კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 21 აგვისტოს ბრძანება #02/62) მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის, ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის, მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტმა წარმოადგინა დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, რომლებიც შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლობასთან.

კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა პროფესიული პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების განხორციელების პროცედურებს და შეფასების შედეგებს. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,განსაზღვრული იყო: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.

პროგრამები შედგებოდა შემდეგი დანართებისგან: მოდულები, სასწავლო გეგმა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. თითეულ მოდულში მითითებული იყო პროგრამის განხორციელების ადგილი. საწარმოო პრაქტიკის მოდულის განხორციელებისათვის კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები შესაბამის ორგანიზაციებთან:

- დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამისთვის - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და „ენერგო პრო ჯორჯიას“ შორის არსებული მემორანდუმი;
- ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამისთვის - ინდმეწარმე რუსუდან ჯაფარიძე - სასტუმრო „თეთნულდი“;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამისთის - სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახ. დაბა მესტიის #2 საჯარო სკოლა;
- მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამისთვის - შპს გიონათი „სასტუმრო სვანეთი"; ინდ.მეწარმე „ლეილა ჯაფარიძე"; შპს „ძველი სეტი".

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. შესაბამისად, პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად ინვენტარი არ იყო განთავსებული აუდიტორიებში.

თეა შაყულაშვილის განცხადებით, შესყიდული ინვენტარი დასაწყოებული იყო ერთ-ერთ ოთახში. მათი არსებობა დასტურდებოდა სასაქონლო ზედნადებებითა და მომწოდებლებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით, ასევე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულებებით. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდებოდა, რომ დაწესებულება ფლობდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარს, რომელიც სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ განთავსდებოდა შესაბამის სასწავლო ფართში. კოლეჯის ადმინისტრაციის განმარტებით, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება იგეგმებოდა 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია დაინტერესდა ფართი რომლის რემონტიც მიმდინარეობდა საკმარისი იყო თუ არა აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ფართი იყო სრულიად საკმარისი.

მაია ჩიხლაძემ ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს მიმართა, რომ საჭირო იყო დასკვნა უფრო ზუსტი და დეტალური ყოფილიყო.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შემთხვევაში, აღნიშნულ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, თითოეულ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მოითხოვა 15-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდისათვის" დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდისათვის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდისათვის“ მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,თეთნულდს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 235891512) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	III	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	88	15
2	ბუღალტერ-ტექნიკოსი	III	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	76	15

3	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა	III	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	77	15
4	მიღება-განთავსების სპეციალისტი	III	მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	82	15

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა 18:00 საათზე დასრულდა.

თავმჯდომარე
საბა სარიშვილი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე